№ 0624-0893549 D 04.01.24

შპს „საბა & ლუკა“
ელ-ფოსტა: saba_luka@yahoo.com; prodiashvili@gmail.com
ტელეფონი: 579 543 201; 579 716 446

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში „კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება („კომპანიაში“ რეგისტრირებული IN23-0889646, დათარიღებული 22/12/2023წ.) თორნიკე ერისთავის ქუჩა #44/დავით გურამიშვილის გამზირი #6-ში (ს/კ 01.12.08.037.077) ღობის რეკონსტრუქციის გენ. გეგმის შეთანხმების შესახებ.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი გენ. გეგმა შეთანხმებულია „კომპანიის“ შესაბამის სამსახურთან. „კომპანია“ არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ სარეკონსტრუქციო სამუშაოები წარმოდგენილი გენ. გეგმის შესაბამისად.

ასევე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლებელია გადიოდეს კერძო მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ „კომპანია“ ინფორმაციას არ ფლობს.

ქსელის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ, დაუკავშირდეთ „კომპანიის“ წარმომადგენელს: გლდანი-ნაძალადევის საოპერაციო ცენტრი მენეჯერი თორნიკე ჟღენტი. ტელ: 591 10 15 13.

დანართი: საპროექტო დოკუმეტაცია - 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

ივანე გაბიტაშვილი

წყალსადენის ქსელების დირექტორის მოადგილე/
საოპერაციო ცენტრების დეპარტამენტის უფროსი

შემსრულებელი: ჯ. ჩაჩხალია; მ. ლოლაძე
ტელეფონი: 293 11 11 (11 27); (51 13)

"ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"
სიტუაციური ნახაზი

IN23-0854261



მაშტაბი: 1:1,900

0 12.5 25 50 75 100 მეტრი

Coordinate System: WGS 1984 UTM Zone 38
Projection: Transverse Mercator

მიწისქვეშა კომუნიკაციები

- გვირაბი
- წყალმომარაგების მილი
- წყალარინების მილი

- წყალმომარაგების ჭა
- წყალარინების ჭა

10/4/2023

თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 01-13-32279-23, 01-77-43951-23, 01-13-43956-23
14 / 07 / 2023

შპს „საბა & ლუკა“-ს დირექტორს
პაატა კაჭარავას

ბატონო პაატა,

თქვენი მიმდინარე წლის 15 მაისის №01-13-32279-23, 5 ივლისის №01-77-43951-23 და №01-13-43956-23 წერილების პასუხად, რომელიც ეხება ქალაქი თბილისი, თორნიკე ერისთავის ქუჩა №44/დავით გურამიშვილის გამზირი №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.12.08.037.077) არსებული ღობის სარეკონსტრუქციო-სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით კომპანიის პოზიციას გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკადასტრო ერთეულს კვეთს შპს „თბილისი ენერჯის“ კუთვნილი საჰაერო D=80 მმ-იანი საშუალო წნევის გაზსადენი. კომპანია არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ დაგეგმილი სამუშაოები შემდეგი მოთხოვნის გათვალისწინებით:

- საჰაერო D=80 მმ-იანი საშუალო წნევის მილსადენთან მიმართებაში აუცილებელია დაცული იყოს უსაფრთხოების ნორმები, არ შეიზღუდოს ტექნიკური მონიტორინგის პროცესი და საჭიროების შემთხვევაში მისი მომსახურების შესაძლებლობა.

გიგზავნით კომპანიის ბეჭდით დამოწმებულ გენგეგმას.

შეთანხმება ძალაშია 6 (ექვსი) თვის ვადით.

დანართი - 1 (ერთი) ფურცელი.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: 01.12.08.037.077

განცხადების ნომერი: 902018000921

შემზადების თარიღი: 19/11/2018

ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო

ფართობი: 55907 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)



შპს "მაგთიკომი"
№ ED-23/02/17-018
17-02-2023 წ.

მაგთიკომი
MAGTICOM

შპს ,,საბა და ლუკა''-ს გენერალურ
დირექტორს ბატონ პაატა კაჭარავას

ბატონო პაატა,

თქვენი 2023 წლის 13 თებერვლის N14 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ წერილში მოცემულ ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ (ქ. თბილისი, ერისთავის ქ. N5, ს/კ 01.12.08.037.077) გადის შპს „მაგთიკომი“-ს საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, რასთან დაკავშირებითაც გიგზავნით სიტუაციურ ნახაზს.
ჩამოთვლილი პირობების გათვალისწინების შემთხვევაში, შპს „მაგთიკომი“ არ არის წინააღმდეგი შეასრულოთ დაგეგმილი სამუშაოები.

- სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას მექანიზმებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება დასაშვებია შპს ,,მაგთიკომი''-ს საკუთრებაში არსებული კომუნიკაციიდან არანაკლებ 1 მეტრის დაშორებით.
- კომუნიკაციის 1 მეტრზე ნაკლები მანძილის შემთხვევაში, სამუშაოები შესრულდეს არამექანიზირებული მეთოდით, ხელით.

იმ შემთხვევაში თუ მიწის ნაკვეთზე ჩატარდება რაიმე სახის სამშენებლო სამუშაო რაც გამოიწვევს შპს „მაგთიკომის“ საკუთრებაში არსებული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის დაზიანებას, პასუხისმგებლობა და მისი აღდგენისათვის გაწეული ხარჯები სრულად დაეკისრება სამუშაოების შემკვეთს/შემსრულებელს.

ჩვენი კომუნიკაციის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით გთხოვთ, სამუშაოების დაწყების დრო გვაცნობოთ ხუთი სამუშაო დღით ადრე. ტ 591 790790: 599 172727.

დანართი: არსებული კომუნიკაციის სიტუაციური ნახაზი, ერთი ფურცელი.

შემსრულებელი: ლაშა ჭავჭანიძე. ტ 599 172727

პატივისცემით

მთავარი ადმინისტრაციული ოფიცერი

/ნოდარ ბაღათურია/

შპს „მაგთიკომი“ / Magticom LLC; საიდენტიფიკაციო კოდი / Identification Number 204876606
პოლიტკოვსკაიას ქ. N7, თბილისი 0186, საქართველო / 7 Politkovskaya St., Tbilisi 0186, Georgia
ტელ / Tel: (+995 32) 217 17 17; (+995 32) 217 17 77; ელ.ფოსტა / E-mail: office@magticom.ge
www.magticom.ge



შპს "მაგთიკომი"
ქ. თბილისი, ანა კალანდაძის ქუჩა ქ. №7
ტელ. 032 217 00 00 ან 110011

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ბიორგი ზაქაშვილი

თარიღი: 2/17/2023

====== მაგთიკომის მიწისქვეშა კომუნიკაცია

მაგთიკომის საჰაერო კომუნიკაცია

15.02.2023

N23-150/ე.ფ.

შპს „საბა & ლუკა“-ს დირექტორს
ბ-ნ პაატა კაჭარავას
ტელ: 269 06 53
მის: ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის №5
ელ. ფოსტა: saba_eleqtroplasti@yahoo.com

თქვენი 13.02.2023 წლის №17 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ მითითებულ მისამართებზე, ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის ქუჩა, №5-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.12.08.037.077) გადის შპს „ახალი ქსელები’’-ს ხაზოვანი ნაგებობა.

შპს „ახალი ქსელები’’ არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ სამუშაოები იმ პირობით, რომ აღნიშნული სამუშაოები ჩატარდება ტექნიკური ნორმებისა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვით, ასევე არ დაზიანდება და არ მოექცევა რაიმე შენობა-ნაგებობის ქვეშ ჩვენს კუთვნილებაში არსებული კომუნიკაციები.

სამუშაოების მსვლელობის დროს ჩვენი საკუთრების ნებისმიერი დაზიანების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულება დაგეკისრებათ თქვენ.

სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ გამოიძახოთ ჩვენი წარმომადგენელი.
ტელ: 11 00 00

დანართი: 1) სიტუაციური ნახაზი;
2) ტექნიკური პირობა.

პატივისცემით,
დირექტორი / ი. ინჯია /

შპს ახალი ქსელები
პოლიტკოვსკაიას ქ.#42; 0186 თბილისი, საქართველო
ს/კ 211 326 732

AKHALI KSELEBI LTD
42, Politkovskaia st. 0186 Tbilisi, Georgia
ID 211 326 732

11 00 00 info@ak.ge ak.ge

ტექნიკური პირობა

შპს “ახალი ქსელები” თანახმაა, ქვემოთ მოცემული პირობების დაცვით შესრულდეს განმცხადებელის მიერ წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები:

1. დაშორება საპროექტო ხაზოვან ნაგებობასა და შპს “ახალი ქსელები”-ს მიწისქვეშა ხაზოვან ნაგებობას შორის დასახლებულ პუნქტებში, ტრასის გასწვრივ, ნაგებობის განაპირა ხაზიდან, ტრასის ორივე მხარეს უნდა იყოს არანაკლებ 0,5 მეტრის სიგანის ზოლი.

2. დაშორება საპროექტო ხაზოვან ნაგებობასა და შპს “ახალი ქსელები”-ს საჰაერო ხაზებს შორის, მათი ტრასის გასწვრივ, ნაგებობის განაპირა ხაზიდან, ტრასის ორივე მხარეს უნდა იყოს არანაკლებ – 0,5 მეტრის სიგანის ზოლი.

3. შპს “ახალი ქსელები”-ს მხრიდან, იგივე (ან მიმდებარე) ტერიტორიაზე ხაზოვანი ნაგებობის მშენებლობა/რეკონსტრუქციის პროცესში შესაძლო დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, განმცხადებლის მიერ სარპოექტო ხაზოვანი ნაგებობის ზემოთ, არანაკლებ 0.15 მ-ის დაშორებით, ჩაიდოს გამაფრთხილებელი ლენტი.

4. შპს “ახალი ქსელები”-ს ხაზოვანი ნაგებობის გადაკვეთის შემთხვევაში სამუშაოები შესრულდეს ხელით.

5. შპს “ახალი ქსელები”-ს ხაზოვანი ნაგებობის გადაკვეთის შემთხვევაში, განმცხადებლის კომუნიკაციები მოთავსდეს შ.პ.ს “ახალი ქსელები”-ს ხაზოვანი ნაგებობის ქვემოთ, არანაკლებ 0,2 მეტრის დაშორებით.

6. წინამდებარე ნებართვის გაცემით, ნებართვის მიმღები ადასტურებს თავის ვალდებულებას უზრუნველყოს შპს “ახალი ქსელები”-სთვის ანალოგიური ნებართვის გაცემა მის მიერ წინამდებარე ნებართვაში მითითებულ (ან მის მიმდებარედ არსებულ) ტერიტორიაზე ხაზოვანი ნაგებობის მშენებლობის დაწყების და/ან სარეკონსტრუქციო/სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების შემთხვევაში.

7. საპროექტო შენობა ნაგებობის და შ.პ.ს “ახალი ქსელები”-ს ხაზოვანი ნაგებობის დაშორება უნდა იყოს არა ნაკლებ 1 მ სიგრძის.

8. იმ შემთხვევაში, თუ შპს “ახალი ქსელები”-ს მიერ წარმოდგენილი ან რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობის კოორდინატები განსხვავდება რეალობისგან, განმცხადებელი ვალდებულია:
დაუყონებლივ შეაჩეროს სამუშაოები;
აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს შპს “ახალი ქსელები”-ს წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტით, (info@ak.ge) და შეთანხმების ბეჭედზე მითითებული ტელეფონის ნომრის მეშვეობით.


ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის ქუჩა, №44/ დავით გურამიშვილის გამზირი №6
ერისთავი თორნიკეს
გურამიშვილი დავითის
ერისთავი თორნიკეს
ერისთავი თორნიკეს
ჭალადიდელი გორგის
ღრმაღელის
ღრმაღელის
ღრმაღელ

სილქნეტი
SILKNET

№ 984/24-8 „28" 02 2023

შპს „საბა & ლუკა"-ს დირექტორს
ბატონ პ. კაჭარავას
ქ. თბილისი, თ. ერისთავის #5
ტელ: 2690653

მოგესალმებით,

თქვენგან შემოსული წერილის (#15; 13/02/2023წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, თორნიკე ერისთავის ქ. #5-ში, მიწის ნაკვეთზე ს. კოდით 01.12.08.037.077 წარმოდგენილი საკადასტრო გეგმის თანახმად სს „სილქნეტის" კომუნიკაციები და საპროექტო ღობე არ მოდის კვეთაში ერთმანეთთან. სს „სილქნეტი" არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ ღობის სამშენებლო სამუშაოები წარმოდგენილ დოკუმენტაციაში საპროექტო ღობის ადგილის გათვალისწინებით და ქვემოთ მოცემული პირობების სრული დაცვით.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ნაკვეთზე სამუშაოების წარმოებისას სს „სილქნეტის" კუთვნილ ნებისმიერი სახის კომუნიკაციას დაემუქრება დაზიანების საფრთხე, განმცხადებელი(სამუშაოების მწარმოებელი) ვალდებულია:

დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები;

აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს სს „სილქნეტი"-ს წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის(Info.Center@silknet.com) ან ოპერატიული სამსახურის ნომრებზე: 2950029 ან 2932740.

სამშენებლო მოედნის მოწყობის შემთხვევაში სს „სილქნეტის" წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ 24 საათიანი დაშვება კუთვნილ კომუნიკაციებთან.

ხაზობრივი ნაგებობის დაზიანების შემთხვევაში დაგეკისრებათ ზარალის ანაზღაურების ვალდებულება.

პატივისცემით

ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსი
ასტამურ აჩბა

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: 01.12.08.037.077

განცხადების ნომერი: 902018000921

მომზადების თარიღი: 19/11/2018

ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო

ფართობი: 55907 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)

სს "სილქნეტის" მფლობელობაშია

სამუშაოს დაწყების წინ გამოძახებულ იქნას სს "სილქნეტის" წარმომადგენელი ოპერატიული მართვა: 2 95 00 29, 2 93 27 40

ტექნიკური განყოფილება

თარიღი 22.02.23



კოორდინატთა სისტემა: WGS 84 / UTM zone 38N

მასშტაბი 1:2000

20 40 60

05/25 მშენებარე ნაგებობა

05/25 შენობა/ნაგებობა

05/25 მიწისქვეშა ნაგებობა

ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი

ხაზობრივი ნაგებობა

ტყის ფონდი

სნ 202052580

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ. 3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

N: 0215/680/23

15/02/2023

შპს „საბა & ლუკა"-ს გენერალურ დირექტორ

ბ-ნ პ. კაჭარავას

14.02.2023 #0214/270/23 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი პროექტი (გენ.გეგმა ს.კ.01.12.08.037.077) დღევანდელი მდგომარეობით შეესაბამება ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესებსა და ზონებს (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის #366 დადგენილება, დანართი ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები).

სამშენებლო სამუშაოები უნდა ჩატარდეს სს „თელასის" შესაბამისი სამსახურების მეთვალყურეობის ქვეშ.

სს „თელასის" გენერალური
დირექტორის მ.შ. ა. ბალჩუგოვი

შემს.შრომის დაცვისა და სახ. უსაფრთხოების
განყ. უფროსი მ. ჩიღუნაძე
ტელ. 2 77 99 99 1(7959)

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: 01.12.08.037.077
განცხადების ნომერი: 902018000921
მომზადების თარიღი: 19/11/2018

ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
ფართობი: 55907 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)



წარმოდგენილი პროექტი შეესაბამება
ელექტრული ქსელების ხაზობრივი
ნაგებობების დაცვის წესებსა და ზონებს
შეთანხმების თარიღი 15.02.23
შეთანხმებულია

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: 01.12.08.037.077
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
განცხადების ნომერი: 902018000921
ფართობი: 55907 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)
მომზადების თარიღი: 19/11/2018

